20/08/2025

MES 2 25 0001004447

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 06.08.2025
სხდომის დაწყების დრო: 11:00 საათი
სხდომის დასრულების დრო: 13:58
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27[2]-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **ბონდო გასვიანი -** შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუ-ს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.
5. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
6. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
7. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
8. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;

9. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
10. **მზია წიკლაური** - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
11. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
12. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
13. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
14. **ქრისტინე ახალაძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
15. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
16. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

- **ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **ლალი ოდიშვილი** -უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

დედა ბარბარე (ციალა მეგრელაძე) - ტასუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნონა შუშანიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი;
თემურ ტუნაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსოს მოადგილე;
რომან აბაშიძე - ზოგადი განათლების მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო (300 კრ) პროგრამის ხელმძღვანელი;
ხათუნა ხალვაში - მასწავლებლის მოზადების საგანმანათლებლო პროგრამის (60 კრ) ხელმძღვანელი;
მზია შავაძე - იურისტი;
ნაილა ჩელებაძე - პრორექტორი;
ელზა ფუტკარაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესორი **ქეთევან ჭკუასელი** - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
ასოცირებული პროფესორი **ზაქარია ქიტიაშვილი** - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
ასოცირებული პროფესორი **რუსუდან სანაძე** - განათლების მეცნიერებების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროგრამის განმახორციელებელი;
პროფესორი **თამარ მახარაძე** - პროგრამის ხელმძღვანელი;
პროფესორი **კახა გაბუნია** - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
პროფესორის ასისტენტი - მარინე გოგნელაშვილი;
შოთა ფოთოლაშვილი - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ასოცირებული პროფესორი **ნინო ქიმერიძე** - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის განყოფილების უფროსი.

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თეა ჯუღელი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;
თამარ შინჯიაშვილი - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი, განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
ლია ახალაძე - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
ლევან ჯინჯიხაძე - ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
რომეო გალდავა - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

აკრედიტაციის ექსპერტები

მილან პოლი (Milan Pol) თავმჯდომარე - I საკითხი;
დიანა მჭედლიშვილი (წევრი, დარგი) - I საკითხი;
ეკატერინე კვანტალიანი (წევრი, დარგი) - I საკითხი;
ქრისტინე ჩიხლაძე (წევრი, უმაღლესი განათლების ექსპერტი) - I საკითხ;
რევაზ ბახტაძე (წევრი, სტუდენტი) - I საკითხი;
კატაჟინა ბარბარა ვადონ-კასპრზაკი (Katarzyna Barbara Wadoń-Kasprzak) (თავმჯდომარე) – II და III საკითხები;
ეკატერინე ფიფია (წევრი, დარგი) – II საკითხი;
ირმა მესერიძე (წევრი, დარგი) - II საკითხი;
თამთა ცხოვრებაძე (წევრი, უმაღლესი განათლების ექსპერტი) - II საკითხი;
სოფიო ჟღენტი (წევრი, დამსაქმებელი)- II საკითხი;
ნათია მაღალაშვილი (წევრი, სტუდენტი) - II საკითხი;
ანა გიგაური (წევრი, დარგი)– III საკითხი;
რევაზ ტაბატაძე (წევრი, დარგი)– III საკითხი;
ლანა ყურაშვილი (წევრი, დამსაქმებელი) – III საკითხი;
სოფიო უგრეხელიძე (წევრი, უმაღლესი განათლების ექსპერტი) – III საკითხი;
თამარ თხელიძე (წევრი, სტუდენტი) – III საკითხი.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა

უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27[5]-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის", "მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის", სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის, "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - „მასწავლებლის" (1), "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - „მასწავლებლის" (2) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო" და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო", "მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)" და "განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო" და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის", "მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის", სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის, "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - „მასწავლებლის" (1), "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - „მასწავლებლის" (2) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო", "მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)" და "განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო" და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა 1: ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო პროგრამა
საფეხური: ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მაგისტრი (ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე (I - IV კლასები) ქართული ენის და ლიტერატურის, მათემატიკის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების უფლებით, ერთ-ერთი მოდულის არჩევანის შესაბამისად.

- სპეციალურ მასწავლებელი;
- დაწყებითი საფეხურის (V - VI კლასები) ქართული ენისა და ლიტერატურა;
- დაწყებითი საფეხურის (V - VI კლასები) მათემატიკა;
- დაწყებითი საფეხურის (V - VI კლასები) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
- დაწყებითი საფეხურის(V - VI კლასები) ჩვენი საქართველო;
- დაწყებითი საფეხურის(I - VI კლასები) მუსიკა.

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 300
სტატუსი: აკრედიტებული

პროგრამა 2: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
საფეხური: -
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: -
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: -
საგნობრივი მოდულები: ზოგადიგანათლების ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებუ ლი ერთ - ერთი საგნის სწავლების უფლება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე:

- ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხურები);
- მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხურები);
- ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები);
- ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხურები);
- ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხურები);
- ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური);
- სპორტი
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 60
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მილან პოლმა (Milan Pol) აღნიშნა, რომ მოხსენება ძირითადად ორ საგანმანათლებლო პროგრამას ეხება. ერთი პროგრამა 2015 წლიდან ხორციელდება, ხოლო ინტეგრირებული პროგრამა – 2021 წლიდან. ორივე პროგრამაზე ბოლო აკრედიტაცია სამი წლის წინ, 2022 წელს განხორციელდა.
მან აღნიშნა, რომ ორივე პროგრამა ეფექტურად პასუხობს რეგიონის საჭიროებებს, ვინაიდან ამზადებს მასწავლებლებს რეგიონის სკოლებისთვის. თუმცა, ამ ეტაპზე სტუდენტთა რაოდენობა კლებას განიცდის. მიღებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად ინტეგრირებულ პროგრამაზე 58 სტუდენტი სწავლობს, ხოლო მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე – 28 აქტიური სტუდენტი.
მისივე თქმით, ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით პროგრამები შეფასდა, როგორც სრულ შესაბამისობაში მყოფი, ხოლო პირველ, მეოთხე და მეხუთე სტანდარტებთან – მეტწილად შესაბამისი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, თემურ ტუნაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაცემული რეკომენდაციებისთვის. მან გაითვალისწინა დღის წესრიგით განსაზღვრული დრო და მოკლედ განაცხადა, რომ სრულად ეთანხმებიან წარმოდგენილ რეკომენდაციებს. ამის შემდეგ წარმოადგინა ინფორმაცია იმ საკითხების შესახებ, რომლებზეც უკვე დაწყებულია მუშაობა.
აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების შეფასების ერთიანი მექანიზმი უნივერსიტეტში უკვე ფუნქციონირებს და უმრავლესობა პროგრამებისა სარგებლობს ამ სისტემით. სისტემაში გათვალისწინებულია როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები, განსაზღვრულია ვადები, როდის და როგორ ფასდება კონკრეტული შედეგები. დასძინა, რომ პროგრამას თან ერთვის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების შესაბამისობის რუკა. მომზადდა ცხრილი, რომელშიც ასახულია, თუ როგორ შეესაბამება კონკრეტული სასწავლო კურსის შედეგები პროგრამის შედეგებს და აღნიშნულია მათი ურთიერთმიმართება.

ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული რეკომენდაციის პასუხად აღინიშნა, რომ დაწყებულია მოლაპარაკება ტრენინგზე, რომელიც შეეხება ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას სწავლების და კვლევის პროცესში.
განხილულ იქნა შიდა ხარისხის გაუმჯობესების საკითხიც. აღინიშნა, რომ რამდენიმე პროგრამასთან მიმართებით მეხუთე სტანდარტი უკვე სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო დანარჩენ პროგრამებზე მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ხარისხის უზრუნველყოფის სრული ციკლის ეფექტიანად განხორციელებისთვის.
განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რეკომენდაციას განათლების ფსიქოლოგიის მეთოდიკის კურსის დამატების თაობაზე. შესაბამისი აკადემიური პერსონალი უკვე მუშაობს აღნიშნული სასწავლო კურსის მომზადებაზე.
აღინიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელებს, რომლებიც ესწრებოდნენ სხდომას, მომზადებული ჰქონდათ პრეზენტაცია, რომელშიც გაწერილია რეკომენდაციებზე კონკრეტული პასუხები. აღნიშნული პრეზენტაცია შეხვედრის დროს გააზიარეს.
საუბარი განაგრძო დედაო ბარბარემ. მან აღნიშნა, რომ როგორც კი რეკომენდაციები გაეცნო დაწესებულებას, მაშინვე დაიწყო მუშაობა მათი შესრულების მიმართულებით. ყურადღება გაამახვილა პირველ რეკომენდაციაზე და განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია უკვე შესრულებულია — ჩამოყალიბდა 8-10 ძირითადი სწავლის შედეგი.
მეორე რეკომენდაციაზე, რადგან სხდომის დასაწყისშივე ბატონმა თემურმა ისაუბრა, აღარ შეჩერდა და განაგრძო მესამე რეკომენდაციით, რომელიც სწავლების შედეგების შესაბამისობის რუკის მეთოდს ეხება. შემუშავდა დიაგნოსტიკური რუკა, რომელიც მოიცავს შედეგების ანალიზს — “გაცნობა”, “დაუფლება” და “განვითარება”. მაგალითად, გაიცა განმარტება, რომ “აზროვნების მეთოდები” თავდაპირველ კურსებში სთავაზობს გაცნობასა და დაუფლებას, ხოლო შემდგომ — განვითარებას, შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა “აზროვნების ექვსი ქუდი” და სხვ.
მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ 300 კრედიტიან პროგრამაზე უკვე არსებობდა გამოცდილება, თუმცა რეკომენდაციის საფუძველზე შემოიღეს ანგარიშის ფორმატი: დავგეგმე – განვახორციელე – თქვენ შემაფასეთ – განვითარებისთვის მომაწოდეთ რჩევები. ეს მეთოდი ხელს უწყობს როგორც თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას, ასევე ანგარიშგების გამჭვირვალობას.
მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ინგლისური ენის სწავლების მიმართულებით დაწყებულია სპეციალური კურსები და სემინარები, მათ შორის პროფესიული ტერმინოლოგიის შესწავლისათვის.
მეექვსე რეკომენდაციაზე, რომელიც სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას ეხება, აღინიშნა, რომ პირველად ორმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაში, საინტერესო თემებით. მათ მოხსენებები მალე გამოქვეყნდება შესაბამის სამეცნიერო ჟურნალში.
მეშვიდე რეკომენდაციის პასუხად, რომელიც სასწავლო ლიტერატურისა და მონაცემთა ბაზების განახლებას ეხება, აღნიშნა, რომ მიღებულია ბეჭდური ვერსიები იმ მასალებისა, რომლებიც პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას უკავშირდება და გადაეცა ბიბლიოთეკას. ასევე მიმდინარეობს ბიბლიოთეკის განახლების პროცესი და დადებულია ხელშეკრულება პედაგოგიური პრესის ახალი ნომრების მიღებაზე.
მერვე რეკომენდაცია, რომელიც ინფრასტრუქტურას ეხება, დაისვა მოკლედ — კერძოდ, მოეწყო სპეციალურად აღჭურვილი აუდიტორია პრეზენტაციებისთვის.
შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ეფექტური განხორციელების რეკომენდაციის ფარგლებში აღინიშნა, რომ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც აერთიანებს პროგრამის აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს. ჯგუფი დაყოფილია სამ ქვეჯგუფად — თითოეულს განესაზღვრა კვლევის საგანი. პირველმა ჯგუფმა უკვე დაიწყო მუშაობა, ხოლო მეორე და მესამე ჯგუფი მუშაობას სექტემბერში დაიწყებს.

განხილულ იქნა მეთორმეტე რეკომენდაციაც, რომელიც 300 და 60 კრედიტიან პროგრამებთანაა დაკავშირებული. მოწვეულ იქნენ საგნობრივი ექსპერტები, წამყვანი მასწავლებლები, ინგლისური ენის უფროსი მასწავლებელი და ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი. ვინაიდან მათ არ ჰქონდათ საუნივერსიტეტო გამოცდილება, შემუშავდა სპეციალური გეგმა, რომელიც მათ საქმიანობას უკეთ გააცნობს.
საბოლოოდ, მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია როგორც 300, ისე 60 კრედიტიან პროგრამებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა ციური დურულმა დასვა პირველი შეკითხვა, რომელიც მიემართებოდა ექსპერტთა ჯგუფს. მან აღნიშნა, რომ აღნიშნულ დაწესებულებას კარგად იცნობს. ციური დურულმა განაცხადა, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი უფრო დასახვეწია, ვიდრე შესამუშავებელი. ასევე მიუთითა, რომ დაწესებულების მიერ პუნქტობრივად წარმოდგენილი სწავლის შედეგები არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაოა გასაწევი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დედაო ბარბარემ, განმარტა, რომ მეთოდოლოგია შემუშავებულია და ეყრდნობა დარგობრივ მიდგომებს. მისი განცხადებით, გათვალისწინებულია სახალხო დამცველის რეკომენდაციებიც. ასევე აღნიშნა, რომ ახალი რეკომენდაციებიც იქნება გათვალისწინებული.
ექსპერტმა დიანა მჭედლიშვილმა დააზუსტა, რომ დაწესებულება ძირითადად ორიენტირებულია დაინტერესებული მხარეების შეფასებაზე, ხოლო ექსპერტთა რეკომენდაცია ეხებოდა ერთიანი სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტის შექმნას. აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად უნდა აისახოს გამოყენებული მეთოდოლოგია, კომპონენტები, შეფასების რუკა და შეფასების გეგმა. მან აღნიშნა, რომ ასეთი ერთიანი დოკუმენტი ერთგვარი სამოქმედო გეგმა იქნება. ასევე საჭიროდ მიიჩნია შეფასების ინსტრუმენტების დაკონკრეტება და სამიზნე ნიშნულების დადგენა. დიანა მჭედლიშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებაში შესაბამისი პროცესები უკვე დაწყებულია, ისინი ფრაგმენტულია, რის გამოც რეკომენდაციები სწორედ ამ პროცესების დახვეწას უკავშირდება.

ვლადიმერ ადეიშვილმა დასვა რამდენიმე დამატებითი შეკითხვა, რომლებიც ძირითადად მიმართული იყო პროგრამის ხელმძღვანელისკენ. პირველი შეკითხვა შეეხებოდა 300 კრედიტიან პროგრამას და ამ პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული საგნების ფართო არჩევანს – რამდენად არსებობს მოთხოვნა, რომ ყველა მოდული სრულად იქნეს ათვისებული. მეორე კითხვა ეხებოდა პრაქტიკის ორგანიზებას: ადეიშვილის თქმით, დაწესებულება პრაქტიკას ახორციელებს I-IV კლასებში და საგნობრივ პრაქტიკებს V-VI კლასებში. დაინტერესდა, თითოეულ პრაქტიკაზე რამდენ ქულაზე შეფასებული გაკვეთილი ტარდება.
მან ასევე ყურადღება გაამახვილა 60 კრედიტიან პროგრამაზე და შეეხო საბაზო და საშუალო საფეხურის საგნებს. აღნიშნა, რომ ინგლისური ენის სწავლება მოიცავს როგორც დაწყებით, ისე საბაზო და საშუალო საფეხურს და მიმართა დაწესებულებას, რომ ტექნიკურად გაესწორებინათ აღნიშნული ნაწილი. ამავე კონტექსტში დააზუსტა პრაქტიკის განხორციელების მექანიზმები — კერძოდ, 60 კრედიტიანი პროგრამის ფარგლებში, როგორ ტარდება გაცნობითი და საგნობრივი პრაქტიკა საბაზო და საშუალო საფეხურზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულება სახვით და გამოყენებით ხელოვნებას დაწყებით საფეხურზე ასწავლის. მან დასვა შეკითხვა, ტარდება თუ არა პრაქტიკა დაწყებით საფეხურზე და როგორ განისაზღვრება ჩასატარებელი გაკვეთილების რაოდენობა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე.

დედაო ბარბარემ განმარტა, რომ 300 კრედიტიან პროგრამაში ჩაშენებულია სპეციალიზებული საგნების სწავლების შესაძლებლობები დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად. მისი განცხადებით, პროგრამა მოიცავს როგორც სპეციალური მასწავლებლის, ისე V და VI

კლასებისთვის ცალკეულ საგნებში სწავლის შესაძლებლობებს. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში უკვე წარმოდგენილია შესაბამისი კადრები და სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, აირჩიონ მათთვის სასურველი საგნები.
პრაქტიკის კომპონენტთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ I–IV კლასის ჩათვლით პრაქტიკა მიმდინარეობს ახალი დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, რაც გულისხმობს თემატურ პრაქტიკას – კერძოდ, სტუდენტი ერთ თემაში შემავალ რამდენიმე გაკვეთილს ატარებს. მისი შეფასებით, აღნიშნულმა პრაქტიკამ დადებითი შედეგი გამოიღო. მანვე განაცხადა, რომ პრაქტიკა იწყება პირველი კურსიდან და ეს მიდგომა გადმოღებულია ფინური მოდელიდან.
დედაო ბარბარემ, ასევე, აღნიშნა, რომ დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ათ სკოლასთან. ყურადღება გაამახვილა 60 კრედიტიან პროგრამაზეც და განმარტა, რომ ხელოვნების საგანში დაწყებით საფეხურზე პრაქტიკა ამ ეტაპზე არ არის გათვალისწინებული, თუმცა დაგეგმილია შესაბამისი ცვლილება. მან დაადასტურა, რომ დაწყებით საფეხურზეც აუცილებლად იქნება ინტეგრირებული პრაქტიკა და გათვალისწინებული იქნება ინგლისური ენის მიმართულებით გაცემული რეკომენდაცია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 11:47
დასრულების დრო: 11:57
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის“ აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლისთავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო” საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 06 აგვისტომდე, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულებით.
საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის 2025 წლის 06 აგვისტოს.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლისთავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „მასწავლებლის მომზადების” საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 06 აგვისტომდე, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულებით.
საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის 2025 წლის 06 აგვისტოს.

მეორე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის", "მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის", სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის, "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - „მასწავლებლის" (1), "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - „მასწავლებლის" (2) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა 1: დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საფეხური: ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: განათლების მაგისტრი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის I -VI საგნის/საგანთა ჯგუფის: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)
მოდულები: ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის I - VI საგნის/საგანთა ჯგუფის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 300
სტატუსი: აკრედიტებული

პროგრამა 2: მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საფეხური: ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მაგისტრი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგანთა ჯგუფის მასწავლებელი/ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგანთა ჯგუფის მასწავლებელი/ I - IV კლასების მშობლიური ენის (სომხური/აზერბაიჯანული) ქართულის, როგორც მეორე ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების და საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებელი; დამატებით V - VI კლასის ქართულის, როგორც მეორე ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების და საზოგადოებრივ მეცნიერებათაგან ერთერთი ან მაქსიმუმ ორი საგნის / საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი)
მოდულები: ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგანთა ჯგუფის მასწავლებელი/ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგანთა ჯგუფის მასწავლებელი/ I - IV კლასების მშობლიური ენის (სომხური/აზერბაიჯანული) ქართულის, როგორც მეორე ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების და საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებელი; დამატებით V - VI კლასის ქართულის, როგორც მეორე ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების და საზოგადოებრივ მეცნიერებათაგან ერთერთი ან მაქსიმუმ ორი საგნის / საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 300
სტატუსი: აკრედიტებული

პროგრამა 3: სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 60
სტატუსი: აკრედიტებული

პროგრამა 4: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - მასწავლებელი (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; მუსიკის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ინგლისური ენის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; გერმანული ენის დაწყებითისაბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; რუსული ენის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ფრანგულის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ისტორიის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; მოქალაქეობის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების I-IV კლასების მასწავლებელი; დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის I-VI კლასების მასწავლებელი; დაწყებითი საფეხურის მათემატიკის I-VI კლასების მასწავლებელი; დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების I-VI კლასების მასწავლებელი;)
მოდულები:

- ესთეტიკური აღზრდა
  - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დაწყებითისაბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი;
  - მუსიკის დაწყებითი საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი;
- უცხო ენა:
  - ინგლისური ენის დაწყებითი-საბაზო - საშუალო საფეხურის მასწავლებელი;

    - გერმანული ენის დაწყებითი-საბაზო - საშუალო საფეხურის მასწავლებელი;
    - რუსული ენის დაწყებითი - საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი;
    - ფრანგულის დაწყებითი - საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი;
- ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი;
- საზოგადოებრივი მეცნიერებები:
    - ისტორიის საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი;
    - მოქალაქეობის საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი;

- დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების I-IV კლასების მასწავლებელი;
- დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის I-VI კლასების მასწავლებელი;
- დაწყებითი საფეხურის მათემატიკის I-VI კლასების მასწავლებელი;
- დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების I-VI კლასების მასწავლებელი;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: -
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 60
სტატუსი: აკრედიტებული

პროგრამა 5: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - მასწავლებელი (მათემა ტიკის საბაზო- საშუალო საფეხურის მასწავლებელი; კომპიუტერული ტექნოლოგიების დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ფიზიკის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ქიმიის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ბიოლოგიის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; გეოგრაფიის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი;).
საფეხური: -
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: -
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: -
მოდულები:

- მათემატიკის საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების დაწყებითი - საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:
    - ფიზიკის საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი
    - ქიმიის საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი;
    - ბიოლოგიის საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი;
- გეოგრაფიის საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი;

სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 60
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს ვლადიმერ ადეიშვილმა (თანამშრომლობს დაწესებულებასთან ერთობლივი პროგრამის განხორციელების ფარგლებში), ბონდო გასვიანმა, ქეთევან აფთარაშვილმა და თამარ ზარანდიამ, აცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულება დაწესებულებასთან.
თამარ ზარანდიამ სხდომა დატოვა 11:58 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, კატაჟინა ბარბარა ვადონ-კასპრზაკმა (Katarzyna Barbara Wadoń-Kasprzak) აღნიშნა, რომ ვიზიტი ჩატარდა სათანადოდ, თანამშრომლობით გარემოში. მან დეტალურად გააცნო თითოეული რეკომენდაცია საბჭოს წევრებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ზაქარია ქიტიაშვილმა, პირველ რიგში მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს თანამშრომლობისა და განსაკუთრებული კონსტრუქციულობისთვის. შემდეგ შეეხო პირველ რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა ინგლისური ენის სილაბუსში სახელმძღვანელოს განახლების საკითხს. აღნიშნა, რომ რეკომენდაცია მათთვის არსებითად მისაღებია. განმარტა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ენების ცენტრი ემსახურება ყველა საუნივერსიტეტო პროგრამას და შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელები ახდენენ თავის პროგრამებში სილაბუსების ინტეგრაციას. დასძინა, რომ მოხდა გარკვეული უზუსტობა, რომელიც უკვე გამოსწორებულია — სილაბუსები განახლებულია და მზად არიან, საჭიროების შემთხვევაში, წარუდგინონ ისინი საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს. ამ ნაწილში ქიტიაშვილის შეფასებით, ექსპერტთა მიერ დასახელებული პრობლემა აღმოფხვრილია.
შემდეგ წარადგინა განსხვავებული მოსაზრება იმ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა საგანში უნივერსალური სწავლების დიზაინის პრინციპების ასახვას დაწყებით კლასებში. ქიტიაშვილის განცხადებით, უნივერსალური სწავლების დიზაინი წარმოადგენს საგანმანათლებლო სიახლეს და მასზე მუშაობა პროგრამის შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღებით განხორციელდა. საყრდენად გამოიყენეს ფუნდამენტური პრინციპები, რომლებიც საერთაშორისო დონეზეა აღიარებული.
მან განმარტა, რომ უნივერსალური სწავლების დიზაინი მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს — წარდგენის მრავალფეროვნება, ჩართულობის მრავალფეროვნება და გამოხატვის მრავალფეროვნება. მართალია, ტერმინი, უშუალოდ, სილაბუსში გამოყენებული არ არის, თუმცა ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ სილაბუსის შინაარსი მკაფიოდ ასახავს ამ პრინციპებს.
წარდგენის მრავალფეროვნების მიმართულებით წარმოდგენილია ვიზუალური სქემები და გრაფიკული ორგანიზატორები (V–VI კვირა), ინტერნეტ და ელექტრონული რესურსების

ინტეგრაცია (XV კვირა), რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას სხვადასხვა არხით – ტექსტურად, ვიზუალურად, ინტერაქტიულად. ჩართულობის მრავალფეროვნება სილაბუსში აისახება სწავლის მეთოდებში, როგორებიცაა დისკუსია, დებატები და შემთხვევის ანალიზი, ასევე სტუდენტზე მორგებული აქტივობები და არჩევანის თავისუფლება. გამოხატვის მრავალფეროვნება უზრუნველყოფილია ვიზუალური დოკუმენტაციის, პრეზენტაციის, რესურსების პრაქტიკული დამზადების გზით, რაც ყოველკვირეულადაა გათვალისწინებული.
შეჯამებისას ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ კურსი თავისი შინაარსით, სტრუქტურით, მეთოდოლოგიითა და შეფასების კომპონენტებით ითვალისწინებს სტუდენტთა მრავალფეროვნებას და ერთგვარად ინკლუზიური ხასიათის მატარებელია. შესაბამისად, აღნიშნა, რომ გაუჭირდებათ რეკომენდაციის ამ სახით მიღება. თუმცა დასძინა, რომ თუ ექსპერტების შენიშვნა გულისხმობდა მხოლოდ თეორიული მასალის სახით ტერმინის უშუალო ასახვას, დაწესებულება მზად არის ეს ასახოს, მით უმეტეს, რომ აკუმულირებული სწავლის შედეგი უკვე მოიცავს შესაბამის კომპეტენციას.
შემდეგი საკითხი ეხებოდა რეკომენდაციას, რომლის მიხედვითაც პროგრამას უნდა გაეწია დამატებითი კონსოლიდირებული მხარდაჭერა კვლევითი წერის უნარების განვითარებისთვის. ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ დაინტერესებულნი არიან აკადემიური წერის უნარების გაძლიერებით, თუმცა დაასახელა რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება: პროგრამა არის რეგულირებადი პროფესიის შესაბამისი და მასში უკვე ინტეგრირებულია შესაბამისი კურსები. აკადემიური წერა სავალდებულო საგნად ფიქსირდება, ხოლო სხვა კურსებშიც მრავლადაა დავალებები, რომლებიც ამ უნარებს ავითარებს. ამ კუთხით რეკომენდაციას განიხილავენ როგორც კონტექსტური რჩევის სახით და აღნიშნულ მიმართულებას მხარდაჭერას გაუწევენ ექსტრაკურიკულარული აქტივობებით, როგორიცაა სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ფარგლებში.
შემდეგ გაამახვილა ყურადღება რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა სილაბუსებიდან „დასწრების“ როგორც შეფასების კომპონენტის ამოღებას. ქიტიაშვილმა განმარტა, რომ სილაბუსებში არ გამოიყენება ტერმინი „დასწრება“ იზოლირებულად, არამედ – „დასწრება-აქტიურობა“, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ფიზიკურ დასწრებას, არამედ აქტიურ მონაწილეობას, დისკუსიებსა და ჯგუფურ მუშაობაში. დასძინა, რომ დასწრება-აქტიურობა არის სწავლების მეთოდის განუყოფელი ნაწილი, განსაკუთრებით მასწავლებლის მომზადების პროგრამებში. დასვა კითხვა – თუ პრობლემა მხოლოდ ტერმინის ფორმულირებაშია, შესაძლებელია ტერმინის გადახედვა, ხოლო აქტივობის შენარჩუნება.
შემდეგ განიხილა რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეცვლის პროცედურის რეგულირებას. განმარტა, რომ აღნიშნული პროცედურა ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამას ეხება, სადაც სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს სტუდენტი ირჩევს ბოლო სემესტრში. სტუდენტის სურვილის შემთხვევაში ხელმძღვანელის შეცვლა შესაძლებელია პროგრამის ხელმძღვანელის მიმართვით, განმარტების წარდგენით და განათლების დეპარტამენტის საბჭოს გადაწყვეტილებით. თუმცა დასძინა, რომ ეს პროცედურა დოკუმენტურად არ არის ასახული და მზად არიან რეკომენდაციის საფუძველზე ის ფორმალურად დააფიქსირონ.
დასასრულს, ყურადღება გაამახვილა 60 კრედიტიან პროგრამაზე, და არ დაეთანხმა რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა საერთაშორისო კონტექსტში პროგრამის შეუსაბამობას. ქიტიაშვილმა აღნიშნა: პროგრამა არ ანიჭებს კვალიფიკაციას და აპლიკანტები სტატუსის მიხედვით სტუდენტებად არ განიხილებიან. მასწავლებლის მომზადება წარმოადგენს რეგულირებად პროფესიას, სადაც სავალდებულოდ უნდა იყოს ასახული დარგობრივი მახასიათებლები და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა შეესაბამება მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების კომპეტენციებს, რაც თავისთავად გულისხმობს საერთაშორისო შესაბამისობას. რაც შეეხება მობილობას, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო მობილობის განხორციელება სისტემურად არ ხორციელდება, შესაბამისად, რეკომენდაციას ამ ფორმით არ ეთანხმებიან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

პირველი შეკითხვა დასვა საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა. მან აღნიშნა, რომ სურს დაბრუნება საკითხზე — „დასწრება აქტიურობის კომპონენტის“ თაობაზე. მისი თქმით, სხდომაზე კარგად განიმარტა ის გარემოება, რომ სასწავლო მიზნის მიღწევა შეუძლებელია კონკრეტული ქმედების განხორციელების გარეშე. შესაბამისად, მან დასვა კითხვა: თუ „აქტივობა“ თავის თავში უკვე მოიცავს დასწრებას, რამდენად საჭიროა ტერმინის — „დასწრება“ — დამატება. მისი აზრით, ამ სიტყვამ შესაძლოა დაბნეულობა გამოიწვიოს.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა დამატებითი შეკითხვაც დასვა აღნიშნულ საკითხზე და განმარტა, რომ აინტერესებდა, რას წარმოადგენს აქტივობა კონკრეტული მაგალითით: კონკრეტულად რას აკეთებს სტუდენტი და როგორ ხდება ლექტორის მიერ მისი შეფასება.

დასმულ შეკითხვებზე პასუხი გასცა პროგრამის წარმომადგენელმა ზაქარია ქიტიაშვილმა. პირველი შეკითხვის პასუხად აღნიშნა, რომ თუ შინაარსობრივი ცვლილება არ ხდება, შესაძლებელია ტერმინი „დასწრება“ ამოიღონ და დარჩეს მხოლოდ „აქტივობა“. განმარტა, რომ აღნიშნული ფორმულირება მიზანმიმართულად შეიტანეს, ვინაიდან ბოლო ორი წლის განმავლობაში სტუდენტების აუდიტორიებში დასწრების მაჩვენებელი კრიტიკულად შემცირდა. შესაბამისად, მათი მიზანი იყო ეს ტერმინი ყოფილიყო ერთგვარი გზავნილი სტუდენტებისადმი. თუმცა, თუ ეს ქმნის დაბნეულობას, შესაძლებელია მხოლოდ „აქტივობა“ დარჩეს.

მეორე შეკითხვასთან დაკავშირებით ზაქარია ქიტიაშვილმა განმარტა, რომ აქტივობის კომპონენტი წარმოდგენილია თითქმის ყველა სასწავლო კურსში და მოიცავს ლექციებისა და სემინარების ფორმატში ჩასატარებელ სხვადასხვა ტიპის საქმიანობას: მაგალითად, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაციები, ტელესკოლის 10-წუთიანი ვიდეოს ნახვის შემდგომ დაგეგმვა და ანალიზი, ასევე მოკლე წერითი ჩანაწერების გაკეთება ლექციის პირველი ნაწილის დასრულების შემდეგ — სამწუთიანი ჩანაწერი საკვანძო საკითხებზე. სწორედ ასეთ აქტივობებში ჩართულობას მოიცავს „დასწრება აქტივობის კომპონენტი“.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა დასვა დამატებითი კითხვა: როდესაც ლექციაზე განიხილება კონკრეტული ქეისები და მიმდინარეობს კითხვა-პასუხის რეჟიმი, რამდენად გამოირიცხება სუბიექტურობა სტუდენტების შეფასებისას. კონკრეტულად, როდესაც ერთმა სტუდენტმა უპასუხა კითხვას და მასვე იგივე კითხვა დაესვა მეორე სტუდენტისთვის — ხომ არ არსებობს რისკი, რომ პასუხი გაიმეოროს? როგორ ხდება შეფასება ასეთ შემთხვევებში?

ზაქარია ქიტიაშვილმა პასუხად აღნიშნა, რომ შეფასებისას უმთავრესია სუბიექტურობის გამორიცხვა. იქნება ეს პრეზენტაცია თუ ჯგუფური მუშაობა, ლექტორი იკავებს დამკვირვებლის როლს და აფასებს სტუდენტის ჩართულობასა და მონაწილეობის ხარისხს, ანუ თუ რამდენად იღებს სტუდენტი სრულფასოვან მონაწილეობას აქტივობაში. სწორედ ამ საფუძველზე მიმდინარეობს შეფასება.

ექსპერტმა ნათია მაღალაშვილმა გააკეთა კომენტარი ზაქარია ქიტიაშვილის მიერ გაკეთებულ განმარტებაზე — „დასწრება აქტივობის“ კომპონენტთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ორი სილაბუსიდან ერთში გამოყენებული იყო მხოლოდ ტერმინი „დასწრება“, ხოლო დანარჩენებში — „დასწრება აქტივობა“ — აღინიშნებოდა „დროფის“ ინიციალით. სწორედ ამ თვალსაზრისით ჩათვალეს ექსპერტებმა, რომ სტუდენტისთვის შესაძლოა არ იყო ნათლად განსაზღვრული, რის საფუძველზე ეწერებოდა ქულა, და ამიტომაც შეიტანეს შესაბამისი რეკომენდაცია.

საბჭოს წევრმა ციური დურულმა მიმართა ექსპერტთა ჯგუფს კითხვით. კერძოდ, მასწავლებლის მომზადების პროგრამასთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციაში მითითებულია ინტერნაციონალიზაციის საკითხი. მან მოითხოვა განმარტება: რატომ შეიტანეს ექსპერტებმა აღნიშნული რეკომენდაცია? კონკრეტულად რა იყო არასაკმარისი პროგრამის მიზნებში? ციური დურულის თქმით, აღნიშნული რეკომენდაცია უცნაურად ეჩვენება, რადგან, მისი შეფასებით, ის არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა, სოფო უგრეხელიძემ, გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ რეკომენდაციებში, რომლებიც მასწავლებლის მომზადების პროგრამას ეხება, მითითებულია კულტურათაშორისი გაცვლის მნიშვნელობა, ასევე მობილობისა და ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფა. თუმცა, განმარტა, რომ მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობა, როგორც ქვეყნის შიდა, ისე საერთაშორისო დონეზე, შეუძლებელია.
მან განაცხადა, რომ იზიარებს იმ პასუხისმგებლობას, რაც სამართლიანად დააფიქსირა ციური დურულმა და დასძინა, რომ შესაძლებელია რეკომენდაციის შინაარსის მოდიფიცირება, არსებული რეალობის გათვალისწინებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:33
დასრულების დრო: 12:56

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის“ აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, ერთი წლისთავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო“ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 6 აგვისტომდე, ერთი წლისთავზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულებით.
საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის 2025 წლის 06 აგვისტოს.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, ერთი წლისთავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო“ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 6 აგვისტომდე, ერთი წლისთავზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულებით.
საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის 2025 წლის 06 აგვისტოს.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სპეციალური მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სპეციალური მასწავლებლს მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 6 აგვისტომდე.
საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის 2025 წლის 06 აგვისტოს.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „**მასწავლებლი ს მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა** - **მასწავლებელი** (სახვითი და გამოყენებითი

ხელოვნების დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; მუსიკის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ინგლისური ენის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; გერმანული ენის დაწყებითისაბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; რუსული ენის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ფრანგულის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ისტორიის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; მოქალაქეობის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების I-IV კლასების მასწავლებელი; დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის I-VI კლასების მასწავლებელი; დაწყებითი საფეხურის მათემატიკის I-VI კლასების მასწავლებელი; დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების I-VI კლასების მასწავლებელი;)“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 2032 წლის 6 აგვისტომდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „**მასწავლებლის მომზადების საგანმანათ ლებლო პროგრამა - მასწავლებელი** (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; მუსიკის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ინგლისური ენის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; გერმანული ენის დაწყებითისაბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; რუსული ენის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ფრანგულის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ისტორიის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; მოქალაქეობის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების I-IV კლასების მასწავლებელი; დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის I-VI კლასების მასწავლებელი; დაწყებითი საფეხურის მათემატიკის I-VI კლასების მასწავლებელი; დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების I-VI კლასების მასწავლებელი;)“ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 6 აგვისტომდე.
საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის 2025 წლის 06 აგვისტოს.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „**მასწავლებლ ის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - მასწავლებელი** (მათემატიკის საბაზო - საშუალო საფეხურის მასწავლებელი; კომპიუტერული ტექნოლოგიების დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ფიზიკის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ქიმიის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ბიოლოგიის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; გეოგრაფიის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი;)“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 2032 წლის 6 აგვისტომდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „**მასწავლებლის მომზადების საგანმანათ ლებლო პროგრამა - მასწავლებელი** (მათემატიკის საბაზო - საშუალო საფეხურის მასწავლებელი; კომპიუტერული ტექნოლოგიების დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ფიზიკის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ქიმიის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ბიოლოგიის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; გეოგრაფიის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი;)“ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 6 აგვისტომდე.
საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის 2025 წლის 06 აგვისტოს.

მესამე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო", "მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)" და "განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამა 1 – ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საფეხური: ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მაგისტრი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის I – IV კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საგნობრივი ჯგუფისა და V-VI კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი; ან ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის I-IV კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საგნობრივი ჯგუფისა და V-VI კლასების მათემატიკის მასწავლებელი; ზოგადი განათლების დაწყებითი

საფეხურის I-IV კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნე-ბისმეტყველების საგნობრივი ჯგუფისა და V-VI კლასების ბუნებისმეტყველების მასწავლებელი ან ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის I-IV კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საგნობრივი ჯგუფის და V-VI კლასების საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელი)
მოდულები:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის I – IV კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საგნობრივი ჯგუფისა და V-VI კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;
- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის I-IV კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საგნობრივი ჯგუფისა და V-VI კლასების მათემატიკის მასწავლებელი; ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის I-IV კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნე-ბისმეტყველების საგნობრივი ჯგუფისა და V-VI კლასების ბუნებისმეტყველების მასწავლებელი
- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის I-IV კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საგნობრივი ჯგუფის და V-VI კლასების საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელი.

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 300
სტატუსი: აკრედიტებული

პროგრამა 2 – მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
მოდულები:

- ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის ქართული ენა და ლიტერატურა;
- ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი: ისტორია, გეოგრაფია
- ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის მათემატიკა;
- ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიები;
- ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი (ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა);
- ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო განათლების უცხო ენების საგნობრივი ჯგუფი (ინგლისური, რუსული)

სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 60
სტატუსი: აკრედიტებული

პროგრამა 3 - განათლების მეცნიერებები
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მეცნიერებების მაგისტრი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0111 განათლების მეცნიერება
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა, სოფო უგრეხელიძემ, წარმოადგინა ექსპერტთა პოზიცია და საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში ასახული მიგნებები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რომეო გალდავამ, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამსახურისთვის და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი გაეცნო შეფასების დასკვნას. მისი თქმით, წარმოდგენილი რეკომენდაციები უნივერსიტეტისთვის მთლიანობაში მისაღებია, თუმცა არსებობს რამდენიმე საკითხი, რომელზეც სურდა განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება.

მან განმარტების სახით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა ბოლო პერიოდში დამატებით აკადემიური პერსონალი დაასაქმა, რაც მნიშვნელოვანწილად პასუხობს ექსპერტთა შენიშვნებს. მისი თქმით, რაც შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა ციფრული მოქალაქეობა, რბილი უნარების განვითარება, ინტეგრირებული სწავლება და სხვა – აღნიშნულ კომპონენტებზე ფაკულტეტი მუშაობს აქტიურად და აღნიშნული პროგრამა ითვლება უნივერსიტეტში ლიდერად. კერძოდ, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების 70% სწორედ ამ მიმართულებებს ეხება.

რომეო გალდავას განცხადებით, დაწესებულებას მიაჩნია, რომ აღნიშნული რეკომენდაციები შეეხებოდა შემდგომ განვითარებას და არა იმ ვითარებას, თითქოს აღნიშნული კომპონენტები უნივერსიტეტში საერთოდ არ ხორციელდებოდეს.

მან, აგრეთვე, ისაუბრა თემების დამტკიცების პროცესზე და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი იცავს დადგენილ პროცედურებს და მზადაა, შესაბამისი რეგულაციები საჭიროების შემთხვევაში გადაახალისოს.

დასასრულს, განაცხადა, რომ უნივერსიტეტი მზად არის დანარჩენი რეკომენდაციების შესრულებისთვის და ამის შესახებ დეტალურ ინფორმაციას წარადგენს მომდევნო ანგარიშებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა ირინა ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ დეტალურად გაეცნო დასკვნას და დასვა შეკითხვა, რომელიც ექსპერტებს ეხებოდა. კერძოდ, დასკვნაში ხშირად არის საუბარი ფრაზების შემცირებასა და სინტაქსის დახვეწაზე. ის დაინტერესდა – არის ეს რეკომენდაცია თუ რჩევა?

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა სოფო უგრეხელიძემ განმარტა, რომ ვიზიტის დროს ამ საკითხზე მსჯელობა გაიმართა და რეკომენდაცია ძირითადად უკავშირდება სწავლის შედეგების ფორმულირებას – ისინი უნდა იყოს უფრო ნათელი და კონკრეტული, რათა შეფასება ადვილად მოხდეს. ზოგიერთ შემთხვევაში ერთი სწავლის შედეგი შეიძლება დაიყოს რამდენიმე კომპონენტად, რათა შეფასება იყოს უფრო ზუსტი და მიზნობრივი.

პროგრამის თანახელმძღვანელმა ლია ახალაძემ აღნიშნა, რომ მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამაზე პროგრამის მიზნის ფორმულირებაში შეცდომა ნამდვილად არსებობდა, თუმცა უკვე ჩასწორებულია. რაც შეეხება სწავლის შედეგებს, აღნიშნა, რომ პროგრამის შინაარსი რეგულირებადია და ამიტომ ცვლილებების შეტანა წინა ეტაპზე ვერ მოხერხდა. თუმცა, საბჭოს თანხმობის შემთხვევაში მზად არიან ჩასწორებისთვის. ის ასევე დაეთანხმა, რომ განმეორებების პრობლემა ნამდვილად იყო და პირველი რეკომენდაცია უკვე შესრულებულია.

ინგლისური ენის B1 და B2 დონეების შესახებ აღნიშნა, რომ მათთვის აღნიშნული რეკომენდაცია მისაღებია. გეგმავენ გაზარდონ დარგობრივი ინგლისურისა და ციფრული ტექნოლოგიების სასწავლო კურსები. თუმცა ინგლისური ენა სრულად არ იქნება ამოღებული, დარჩება არჩევით საგნად. მან ასევე ისაუბრა ციფრულ პროექტებზე, რომლებიც პანდემიის პერიოდში განხორციელდა – მოხდა აკადემიური პერსონალის გადამზადება, შეიქმნა ორი სილაბუსი, ხოლო რბილი უნარების განვითარება ერთ-ერთი ლიდერი მიმართულებაა, რომელშიც უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობს სხვა ქართულ უნივერსიტეტებთან ერთად. ჩატარებულ იქნა 3-წლიანი პროგრამა, გამოიცა 6 წიგნი და 9 პროექტი განხორციელდა ფაკულტეტზე.

შემდეგი შეკითხვა დასვა საბჭოს წევრმა ციური დურულმა – განათლების მეცნიერების სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით. მან დააკონკრეტა, რომ ერთი მხრივ, რეკომენდაციაში მოცემულია ინგლისური ენის ამოღება, ხოლო მეორე მხრივ, მისაღებ პირობებში მითითებულია შესაბამისი ენის დონე. დასვა კითხვა, არის თუ არა ეს რეკომენდაცია ლოგიკურად თანმიმდევრული.

სოფო უგრეხელიძემ განმარტა, რომ ყველა სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა B2 დონის ფლობა, შესაბამისად, თუ სტუდენტს ეს კომპეტენცია უკვე აქვს, სწავლის პროცესში B1 და B2 დონის კურსების გავლა მიზანშეწონილი აღარ არის და ხდება სხვა უნარების განვითარება. ამიტომ ეს რეკომენდაცია გულისხმობდა არსებული რესურსების უფრო ეფექტურ გადანაწილებას.

ციური დურულმა, ასევე, გააჟღერა კითხვა რეკომენდაციაში მოცემულ ტერმინთან დაკავშირებით – „ტექნოლოგიური შინაარსის რეგულარული განახლება“ – და აღნიშნა, რომ ეს უფრო რჩევის ფორმულირებაა, ვიდრე პირდაპირი რეკომენდაცია, რადგან ის მომავალზე მიანიშნებს. კითხვა ეხებოდა იმას, თუ როგორ უნდა გაითვალისწინონ რეკომენდაცია მომავლის კონტექსტში.

სოფო უგრეხელიძემ უპასუხა, რომ შესაძლებელია აღნიშნული ნაწილი რჩევად შეფასდეს, თუმცა ამ რეკომენდაციის მიზანი იყო ისეთი აქტუალური საკითხის გამოყოფა, როგორიც არის ხელოვნური ინტელექტი. ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ საჭირო იყო არა მხოლოდ

პროექტში ჩართული პირების, არამედ სხვა აკადემიური პერსონალის ჩართულობა ამ კომპეტენციების გასაღრმავებლად. სწორედ ამას უკავშირდება რეკომენდაცია – გააქტიურდეს მათი მონაწილეობა და ცოდნა ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით.
დურულმა დასვა კიდევ ერთი შეკითხვა რეკომენდაციის 5.3 პუნქტთან დაკავშირებით, კერძოდ – უნდა იცოდეს თუ არა დამსაქმებელმა პროგრამის მიზნები, ამოცანები და სხვა დეტალები ზედმიწევნით?
სოფო უგრეხელიძემ აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია ძირითადად ეხებოდა განათლების მეცნიერების სამაგისტრო პროგრამას. დამსაქმებელთა პანელზე, სადაც შეხვედრა გაიმართა, ძირითადად წარმოდგენილნი იყვნენ სკოლის წარმომადგენლები, ამიტომ აღნიშნულ პროგრამასთან პირდაპირი კავშირი ნაკლები იყო. რეკომენდაცია მიზნად ისახავდა დაინტერესებული მხარის უკეთ ინფორმირებას პროგრამის მიზნებისა და ამოცანების შესახებ.
ქეთევან აფთარაშვილმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ განათლების მეცნიერების სამაგისტრო პროგრამაში და თვითშეფასების დოკუმენტში მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე არ შეესაბამება ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოს. კერძოდ, მითითებულია „განათლების მეცნიერებების მაგისტრი“, მაშინ როცა სწორი ფორმულირებაა „განათლების მეცნიერების მაგისტრი“.
დაწესებულების წარმომადგენელმა რომეო გალდავამ აღნიშნა, რომ ეს, სავარაუდოდ, ტექნიკური ხარვეზია და აუცილებლად გამოსწორდება.
დასასრულს, ლია ახალაძემ გააკეთა კომენტარი პლაგიატთან დაკავშირებით – უნივერსიტეტში როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო ნაშრომები გადის პლაგიატზე შემოწმებას. პლაგიატზე მოწმდება, ასევე, უნივერსიტეტის შრომები. ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხი კი გათვალისწინებულია პრაქტიკის კვლევის და სხვა კურსებში. დასძინა, რომ სტუდენტები კარგად იცნობენ ამ პრინციპებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:34
დასრულების დრო: 13:53

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, ერთი წლისთავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ – სოხუმის სახელმწიფო

უნივერსიტეტის „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო“ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 6 აგვისტომდე, ერთი წლისთავზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულებით.
საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის 2025 წლის 06 აგვისტოს.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, ერთი წლისთავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 6 აგვისტომდე, ერთი წლისთავზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულებით.
საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის 2025 წლის 06 აგვისტოს.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, ერთი წლისთავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 6 აგვისტომდე, ერთი წლისთავზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულებით.
საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის 2025 წლის 06 აგვისტოს.

ყველა საკითხის დასრულების შემდგომ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 13:58 სთ-ზე
.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე